

თეატრი



მედიკალი
კლინიკა

№ 45

საყოველ-კვირობა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 45

9 გიორგოვისძვეს

გამომცემი ყოველ კვირაობით

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. X სსსკუარ წლით ... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წარუხსიყუდ ქარკას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდაძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუიდება: თბილისში: ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის 3 პიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში: ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსიონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილინი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებულად უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцрупи № 110.

მართული თეატრი

ღღეს ქართულის დრამ. დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რაკ გინახავს ველარ ნახავ!

კომედია 3 მოქმ. ავ. ცაგარლისა

II

გულმა იზრძნო

ვოდვეილი 1 მოქმედებად


მონაწილეობას მიიღებენ: სფა-აბაშიძისა გაბ-ცაგარლისა, მ. ლონიძისა; მულეჟოვისა, ბ-ნი აბაშიძე, აწუურელი; მესხიევი, ტყეაველი, მაქსიმოძე, ნებეურიძე და სხვანი.

დასაწყისი სწორეთ 7 $\frac{1}{2}$ საათზე.

თეატრი

ქართული თეატრი

წარსულს კვირას, 2 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გ. სუნდუკიანის ცნობილი კომედია «ხათაბალა». ამ პიესის შინაარსი მეტად კარგად იცის ყველამ, რომ კიდევ საჭირო იყოს მისი განმეორება. მაში ინახება ღვიძლი ცხოვრება მისი თვალთმაქცობა-ძალადობით და დრამატიულ კომიტეტამაც მეტად თვალ-საჩინო არტისტები შეურჩივა, მაში გამოჩეულის თვისებების უფრო ცხოვლად გადმოსაცემად. კ. ყიფიანი (ხამბახოვი) თავისი მშენიერის და გონიერულის თამაშობით გაცვეთილს, ცხოვრებასთან მომავარიშე ვაჭრის, როლში რომელსაც სრულის გულითა მსურს როგორმე მოიშოროს თავიდან თავისი გონჯი ქალი და ამის საშუალებათ სასიძოს კისერში წდომასაც არ



სთაკილობს; მეტის მეტად ჩინებული რამ იყო. ამ არტისტის მონაწილეობა ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში, უმნიშვნელო როლიცა ჰქონდეს, მაინც სასიამოვნო იგი ბურჯია თეატრისა, უიმისოდ თუნდ ჩვენი სცენა ჩვეულებრივ ფერს მოკლებულია მ.ს.ფ აბაშიძის თავის როლს გულ-მოდგინეთ ეკიდებოდა და თავისი ფერიც დაატყო. ბ. მესხივეი ურიგო არ იყო თავის როლში, ახალ-გაზდა სწავლა მიღებული კაცისა, რომელსაც შემთხვევით შეჭვდებია ნატალია (საფარ-აბაშიძისა) და ტრფობის მორევში შეატოპინეს. თუმცა, ალაგ-ალაგს ტრაგიკულ მიხერა-მოხერას, და სჯას ეძლეოდა. ბ. აწყურელმა (ისაია) ცოცხლად წარმოგვიდგინა თუმცა ზოგიერთსა აღვილას სისუსტე ვერ აიცილა თავიდან და არც ისეთი იყო, როგორც შეეძლო ყოფილიყო მაშინ, როდესაც უფრო მეტად დააკვირდებოდა თავის როლს და თვის საკუთარს თვისებას, ნიქს ზოგან, მაგ: უკანასკნელს სცენაში, საცა შეიტყობს, რომ გიორგის იმის ცოლი უნახავს, აღტაცებაში მოიყვანა ხალხი თავის მიბაძვით და ნიქით.

მ. ლეონიძისა მარგალიტა უფერული რამ იყო ვერ შეიძლო გამოეხატა ხასიათებით რიგინის და სახით გონჯის ქალის სულის მძმართულება გულით და ცხოვრების პირობებით დაერდომილი, მიწასთან გასწორებული პიროვნება მაგრამ ამასთან არც ეს უნდა დაევიწყოთ, რომ მარგალიტას როლის შესრულება უკეთესად არ შეიძლება, რადგან თვითონ ავტორს ვერ გამოუხატავს მარგალიტა ისე როგორც სლომონი. გიორგის ღედის როლში ხელოვნება ემჩნეოდა... პატარა შენიშვნაც კომიტეტს ამ არტისტ ქალის შესახებ. სწორეთ რომ არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მა: ურებლებზე მისმა ორი როლის ერთად თამაშობამ... ჩვენ როგორღაც გვეჩოთირა, რომ ჯერ მარგალიტა მერე გიორგის ღელათ გადაიქმნა...

ბ. მაქსიმოძესაც არ უჭირდა რა, რომ ჩვეულებრივი ერთ ფერობა ეხლა მაინც თავიდან აეცილებინა....

განა თქმა და უნდა რომ ნ. გაბუნია ცაგარლისა მშვენიერი იქნებოდა იმისთანა როლში, როგორც მაქთალას როლია! მართლაც, თვალ წინ წარმოგვიდგა მაჭაკლობისაგან და ფულების კრფით გრინობა მოკლებული ღედაკაც, რომელიც თავის სარგებლობას და მაჭაკლობას მაშინაც ვერა სტოვებს როდესაც თავის ღისწულის ცოლის შერთვაზე საუბარი.

ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და მოთამაშენიც, თავიანთის რეცისორით და ხელ-მძღოლით ბ. თუმანოვი უზედ დააჯილდოვა ტაშის კერით და ვაშის ძახილით. ჯერ პიესა არ გათავებულიყო, რომ ა. სუნდუკიანი, ავტორი პიესისა, გამოიწვივა ხალხმა და მალლობა გაღუხადა.



—ს.

ნეტა ვიცოდე, იმ დღეს აქეთ, რას ჰირველ გნახე, მას რადის თვალ წინ რისთვის მიდგას მე შენი სახე?... ნეტა ვიცოდე, მარად შენზედ რად ჭფოქრობს გული, მარადის შენგან რად ისწრაფვის, რისთვის ჭფრუნს სული, და როცა გხვდავ, თვალნი რისთვის მიშტერდებან, სახეზედ ტეცნლი რად შედება, ტუნნი ჭკრთებან, გული საოცრად რისთვის მიდგარს აღეუკებული, და, ვით ფოთოლი, რად ვკანკალებ აღშფოთებული!... ნეტა ვიცოდე, ამ გვარ რამ შენში თუ ჭხდება, ნეტა ვიცოდე, შენც ესევე თუ გამართება?... თუ ასე... თუ ცოტას მაინც გრძნობ ამ გვარ რამეს. გთხოვ მალე მითხარ... ნუ მომაკლებ წუთის საიმეს, და თუ არ... მაშინ გვედრება ანა მითხარა რა!... და მინამდის, სანამდინაც მთლად არ მომაკვდარა, ჩემში ეს გრძნობა... ოთხ ფიცართ შვა, ბნელს სამაჭეში, სულ... სულ ამ გვარად ვიყო მარად ჩემ სიცოცხლეში!... შენ გვერდი მხლოდ არ წამართო ეს ნეტარება! შენით ვსტოცნებებდე ჭკეუნანზედ რა გენაღვლება? რა გენაღვლება შენს შეგუნას ვუნრიდე თასას? რა გენაღვლება შენ მიდგამდე სულს მომაკვდავს?... განა თვითონ მზე მთელის ჭკეუნის მსტოცნებელი, მატლსაც არ ათბობს, არ არს მისი შემწუნარბელი... მაშ, გვედრები, თვით დიდებულს მზეს შეედაწო და რას ვსტებებოდე შენის ჭკრეტით, არ მიმეფარა!!!...

—...ოტია...

ე. ჯიქია

თეატრის კვირა

ცხოვრება და სურათები

მაისის უკანასკნელი რიცხვები იყო. კვირა ღღეა. იქნებოდა ხუთი საათი, როდესაც ხალხი აჩქარებით მიდიოდა ქუჩის კოლონით. ამ ქუჩაში ყო-

ეროვნული
გაზეთი

ველთის დიდი მოძრაობაა ხოლმე, მაგრამ დღეს ხალხი უფრო დაბეჯითებით მიეშურებოდა მუშთაი-
ლისკენ, თითქოს იქ სადილოთ მოწვეული იყო. ქვე-
ითები, ცხენოსნები, ეკიპაჟები ერთ-მეორის გასწ-
რებას ცდილობდნენ. საზოგადოდ დადგება თუ არა
გაზაფხული მუშთაილისკენ ტევა აღარ არის ხოლმე.

— სოხო, შეხედე ერთი; ბიჭო შეხედე მეთქვი!
ასე ეუბნებოდა ერთი ვაჟი თავის ამხანაგს.

— ნეტა რას ხედავ? მიუგო მეორემ.

— შე, ღეთის ბრმავე, აი შეხედე, და კინა-
დამ თითით თვალი არ ამოთხარა.

— ბიჭო ხომ არ გაგიჟდი, ვის შეეხედა.

— აი, იმ ჰამლეტ ლუარსაბიძე თათქარიძეს.
ერთი კარგათ შეხედე! და—ამდროს კიდევ ანიშნა
ერთი ახალგაზდა ყმაწვილ კაცზე, რომელიც მეორე
ტროტუარზედ მიდიოდა.

ეგ ყმაწვილი კაცი იქნებოდა ასე ოცდაორის ან
ოცდახუთის წლისა. კარგად მოყვანილი, მშვენიერი
აგებულებისა, სრული მკერდ-ბეჭიანი, პატარა შეე
წვერ-ულვაში ნაზად ევლებოდა მისი ვაჟკაცურ პირ-
სახეს. ევროპიული ტანსაცმელი თითქოს უხდებოდა,
რადგან (იარულში და მიხვრა-მოხვრაში რაღაც ანა-
დაზობა, მოქანცულობა ეტყობოდა.

რად უწოდა მაგ უსაქმო თუ საქმიანმა მსვლელ-
მა ჰამლეტი ლუარსაბის-ძე თათქარიძე მაგისტანა
ჯეელ ყმაწვილს, რომელიც არც ხნით, არც შეხე-
დულობით, და არც სხვა რამით არ ჰგებდა არც ჰამლეტს
და არც ლუარსაბ თათქარიძეს? მაგრამ ჯერ მაგას
თავი დაეანებოდ და გავყვით ჰამლეტ ლუარსაბის-ძეს.

იგი მიეშურებოდა მუშთაილისკენ, თითქო იქ
ვინმე მოუთმენლათ ელისო და თან არც ერთს ფა-
ეტონს, არც ერთს გამვლელ-გამოვლელს არ გაუშ-
ვებდა ისე, რომ არ დაეთვალისწინებინა, თითქოს ეშ-
ნოდა არ ამცდარ იყო და არ დაენახა.

მთელს მის არსებას ეტყობოდა რაღაც აფუს-
ფუსებული ლოდინი და აღელვებული სურვილი საგ-
ნის მისაღწევნათ.

ამ გვარად კიდევ მიაღწია მუშთაილის კარება-
დინ, აქ ცოტა შეჩერდა. ამკარად ეტყობოდა რომ
ფიქრობდა, რომელი გზით წასულიყო.

— თუ მარჯვენა ხეივით წავალ, ვაი თუ მარც-
ხენაში იყოს, თუ მარცხენივე წავალ, ვაი თუ მარჯ-
ენივე იყოს და სანამ მე მთელს ბაღს შემოვივლი იქ-
ნება კიდევ ამცდეს და ტყვილა—უბრალოთ დაეკარ-
გო ამდენი დროო.

ამ ფიქრებში გართულობა, ვერც კი დაინახა
რომ კარგა ხანი გასტანა ამ უნაყოფო ფილოსოფია-
ში და რომ მეფუტონეს ან დაეყვირა, იქნება მთე-
ლი საათიც ასე მდგარ იყო შუა გზაზე—ფაეტონის
გრილობზედ უეცრათ შეკრთა, თითქოს ვინმემ ტკბი-
ლი სიხმრების შემდეგ გააღვიძაო—და, აბუჩად ადღე-
ბულივით, გადაირბინა მეორე ხეივანზედ—აქ ცოტა
შეჩერდა და რაღაც ძალდატანებით გასწია რაღაც-
დღასკენ.

როტანდო გაჩაღებული იყო. სამხედრო მუსიკა
, ვილჰელმ ტელლიდან “უფერტიურას უკრავდა. ყველ-
გან მოძრაობა იყო. კაცი, ქალი, ბუბერა, ახალგაზ-
და, დიდი-პატარა ერთ-მეორესთან დომხალივით არე-
ულ იყვნენ.

ვის არ შეხედებოდა აქ? აგერ სტოლებს გარშემო
ჩამომსხდარან ჩასუქებული, ცხვირ წაწითლებული და-
ბალ ხალხიდან მოყოლებული სხვა-და-სხვა ხარისხის
მქანებელ კაცამდინ—შეექცევიან; აქებენ კახურ
ღვინოს და თან აძაგებენ და ლანძღამენ ღვინოს მწი-
რობებლებს... უამისოთ ხომ არ შეიძლება.—მეორე
მხარეს სხედან სხვა წყობა ხალხი, ორსული დედა-
კაცივით მუცლები გამოუშვებიათ და გამაუ-
ძლარის, ვენებიანის თვალებით უყურებენ მკერდ-გულ
გახსნილ და უნაგირიანი ჩვენი დიდ-დედა ვეის შეი-
ლის-შვილებს, რომლებს ტანის სიუხვე და კვლუ-
სური მორთულობა სიამავნების დორბლებს აყრევი-
ნებს ხსენებულ დაბახანის არისტოკრატებს. აგერ
კიდევ სხვა-და-სხვანი მუდმივ მხიარულის და
ყმაყოფილის სახე—გამომეტყველობით ამაყად გად-
მოსტკერიან დიდს და პატარას და თან კი მოწაწებით
და კრძალვით შპორიან და ცილინდრიან მასეირ-
ნეთ გზას აძლევენ. აკურ მთელი გუნდი „დამა-კა-
ვალტებისა“ წყვილ-წყვილათ ხელგაყრილნი დარეტია-
ნებული ინდაურებივით როტანდას გარს უვლიან.
პატარა-პატარა, ჩაყვითლებული სახით და მღვრივე
თვალებით, ახალ-მოსწავლეთ ერთი არ მინიანი
პაპიროსი პირში ჩაუჩრიათ და უწყალოთ ყო-
ველ გამვლელ-გამოვლელს აბოლებენ. ზოგნი
„მომწიფულნი“ რაღაც ემაკურის თვალებით,
ახალგაზღურის კისკისით, თავისუფალის ქცევით,
და ლაპარაკით ულვაშ დახვეტილების ყურადღებას
იპყრობენ—მათი უნცროსი ამხანაგებიც არ ჩამორჩე-
ნილან და პატარა ახალგაზღებთ მთელი დიპლო-
მატიური ბაასი გაუმართავთ. იქ ლენჩაქიანი, თავდა-
ხურული მანდილოსნები ერთათ, თითქოს და-
უმწყვდევი იყოს ვისმეს, მიკუნქულან, რაღაც კრძალ-
ვით იხედებიან გარშემო და თან ისეთის ორ-

ეროვნული
გაზეთი

აზროვან თვალებით—ლიმილით უცქერიან ისევ იმ „დუშქა აფიცრებს“, რომ ვერ მიხვდები, პატიოსან თუ როსკიპ ღიაცთ ეყუთნიან ეს ორგული, მანდილონები, რადგან აქვე მათ ახლო, სწორეთ ასეთივე ეშმაკურის, მუშთრის თვალებით გაიბღვერიან „ღიაცები“, თითქოს გეუბნებათ „წამიყვანო“... აგერ დახლიდრებიც სხვა-და-სხვა მოდის, ფასონის და ფორმისა; ზოგნი არხალუხში და ზედ სიურტუით, ზოგი ცილინდრით და პერჩატკებითაც მოკაზმულან და თავიანთ თავი ხინეთის მანდარინი ჰგონიანთ. აგერ იმერლებიც კატასავით ნელნელა, ჩუმათ, თითქოს გებარებიანო, ისე დადიან—ხმა ა არ იღებენ, ალბათ ფიქრობენ: ნეტავ კორტოხას იქეთ გექონდეს ეს მუშთაიდი და „დრიგინა მუზიკაო“ აგერ ზოგნი გულით მდიდარნი, ჯობით ყარბზნი ხარბის თვალეზით სთელიან თითო-თითქო ლუქმას, რომლით პირს იმსებს, სააღდგომო კელაპტარივით დასუქებულნი „ჯობით მდიდარნი-გულით ღარიბნი“.—ამ ჭრელ საზოგადოებას უფრო აჭრელდებენ მამალ-მამალ კინტოები, რომელნიც თავისებურად ოხუნჯობენ, ყველაზედ რასპეს იტყვიან, ყველას პასუხს გასცემენ. აგერ ერთი „კამპანია“ მეორეს შეხვდა—„ეგ შენ, მაგრამ მე“? უყირის ერთი. „გული ნუ გეწვის, აჰა ესეც შენ“! მიუფო მეორემ და დაიწყეს ხარხარი—ვიღამაც ერთს კინტოს ფეხზედ ფეხი დაადგა—უკაცრავეთ ეუბნება შეშინებულა მოსეირნე... „ნუ რაჟურის გენაცვალე, ამშვიდებს კინტო, თუ გინდა სულ დამაჯექ, ერთამ შენი სახლითა“ სიმღერითათავეებს და გადის ხეივანში. პოლიციის მოხელეები დამშვიდებულან, რომ არაფერი არ ხდება აგერ მთელი ოჯახობაც მოდის; წინ მორბის პაწია ბავშვი, უკან მეორე მომხრდო, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე და ამ გვარად სიმაღლეს და სისქეს თან და თან ემატება. აგერ „კოკროკიანებიც“—მთელი მათი აგებულება თითქოს გეუბნებათ, ორი აბაზი მომეცი და არზას დაგიწერო, წინ მიეგება „ადეოკატი“—დიდ მუცელა რაღაც უშნოთ გაბერილი, ისე იყურება თითქოს ეხლაც მეხს ჩამოვადგებო. აჰა, გაახველა გადააფურთხა, მაგრამ საუბედუროთ ფურთხი მის ამხანაგს მოხვდა, რომელიც მოწიწებით თავს უკრავდა—ეს ბატონი სერტუკის ტოტით ცხვირის წვერს იწმენდს... ადეოკატი ემაყოფილია, ემაყოფილია მეარზეც... ბევრი რამ არის აქ და ეინ ასწერს ყველაფერს. როტონდის გარშემო დიდი ხეივანში დადიან ცხონოსნები და ეკიპაჟიანები—ბევრი ახალგაზდა ქალს აუძგერდა ვული აფიცრის ცხენის ჯდომამ, ბევრი ახალგაზდა ემაწვილმა ინატრა ლომივით ცხენები და ახალი კალიასკა ბევრი

სხვა-და-სხვა სულს, სხვა-და-სხვა გულზე დაუღრმად ყველა ესენი, თუმცა ერთმეორესთან საერთო არაფერია ჰქონდათ, მხიარულნი იყვნენ. ყველას ეტყობოდა სიამოვნება, აქ ყველას აერთებდა ერთი სურვილი: დროს გატარება—უკეთ რომ ესტევათ დროს მოკელა—აი ამ სხვა-და-სხვა ჯურის ხალში ჩავიდა ჩვენი ჰამლეტი ლუარსაბისძე—პირველათ ცოტა გაწითლდა—ეტყობოდა რომ მწერცხვა, პირიქით რისი იქნება ეგონა რომ ყველანი იმას დაუწყებდნენ ყურებებს ან იქნება სხვა რამე მიზეზი იყო; მაგრამ სიწითლე არ შორდებოდა, არამედ თან-და-თან ემატებოდა—ბოლოს ოფლიც დაასხა—ბევრი წყველა თავისი თავი, მაგრამ ცხლა არაფერი გაეწყობოდა—ბოლოს როგორც იყო გავიდა ტკერის პირზედ რომ ხეივანი არის და აქ ოფლი მოიწმინდა და შემდეგ წაიდუღუნა: ნეტა მითხრას ეინმემ, რა მოსეირნე კაცი ვარ!—მაგრამ სულ იმსთვის ჩავდივარ მაგ სისულელეს!...

ისარი.

რუსული თეატრი

ამ დღეებში რუსულ სცენაზე წარმოადგინეს ოპერა „რუსალკა“ რომელიც სუსტად ჩაიარა. სხვათა შორის მშვენიერად შეასრულა თავისი როლი ქ. ბ.—ნი რიანდოვისამ. პატარა ოლგას როლს თამაშობდა სცენაზედ ახლად გამოსული არტისტი-ქალი რომანოვსკისა. ახალგაზდა მოთამაშეს აშკარად ეტყობა ნიჭი და საქმის ცოდნა, თუმცა ალღა-ალღასუტობდა ძალალ ტონების აწვეაში. მაგრამ ეს გარემოება, ჩვენ გვეკონია, იმით იხსენება რომ ქ-ბ—ნი რომანოვსკისა მეტად მოაცხობდა. ჩვენ იმედი გვაქვს რომ ახალგაზდა ქალი მალე დაეჩვევა სცენას და შესაფერს ადგილს დაიჭერს სხვა მოთამაშეთა შორის.

მეორედ წარმოადგინეს „ურის ქალი“ რომელიც თავი იჩინა ისევე იმ რიანდოვისამ. ელიაზორის როლს ასრულებდა ბ.—ნი სოკოლოვი და საუტხოვოდაც შეასრულა ეს ფრიალ ძნელი და საპასუხგებო როლი. დანარჩენებს არა უჭირდათ-რა, ხალხი ორივე წარმოდგენაზე ნაკლებად იყო.



ყრიელ ავოსტა

ტრაგედია სუთს მოქმედებად

გუცკომპინა.

გადმოღებული ი. ბაქრაძის-მიერ.

მოქმედნი პირობნი:

(ვაჭარი)

მანასე ვანდერსტრატენი, მდიდარი ამსტერდამელი იედიტი, იმისა ქალი.
 ბენ-იოხანი, იედიტის საქმრო.
 დე-სილევა, დოქტორი, იედიტის ბიძა.
 ბენ-აკიბა, რაბინი.
 ურიელ ავოსტა.
 ესთერი, იმისა დედა.
 რუბენ ურიელის ძეგბი.
 იოველ ურიელის ძეგბი.
 ბარუხ სპინოზა, ბავშვი.
 დე-სანტოსი }
 ეან-დერ-ემბდენი } რაბინები.
 სინალოდის მოსამსახურე ქალი.
 სემონ, მანასეს მოსამსახურე.
 სილევას მოსამსახურე.
 სტუმრები, ხალხი და სხვანი

მოქმედება სწარმოებს 1640 წ.

მოქმედება პირველი.

ოთანი დე-სილევას სახლში

გამოსულა პირველი.

დე-სილევა და ბენ-იოხანი.

დე-სილევა (გაალებს შუა კარებს და წინ ბენ-იოხანს წაიმძღვარებს).

მამ შენ კვლად გაქვს წასვლის იმედი!
 ტყუილად ჭფიჭრობი! კერ მოგიხდება!
 რაკი ჩემს სახლში შენ შემოხვედი
 აწ შენი წასვლა მე მეუიბუბება..
 ბოდიშს ვინდი, რომ ესოდენ ხანა
 მოგაცდევინე... მაგრამ ხომ იცო
 ექიმის მძიმე მოკვლებანი!
 მამ გამარჯობა! კვლავ ჩვენ შორის ხარ!
 სუფით და გულთ გიძღვნი სალამს!

იოხანი.

მეც წრფელის გულთ მადლობელი ვარ!

სილევა.

და რა ხაირად გამოცვლილხარ შენ!
 ესლა სრულიად ის აღარა ხარ,
 როგორც წახველ ამ ორ წლის წინად!
 უცნო ქვეყნისა ბრწყინვალე მზისგან
 გხედავ ადრიან დაკავვაცხუელს.
 დიად, აი აქ, სწორედ ამ ადგილს,
 განშორების დროს ვაცოცხე ურმასა,
 ჯერ მოუჭმესხუნელს, გადაშლილს შუბლხედ.
 აწ გხედავ მას ურმას დატახუკებულს,
 მის შუბლსა ზრუნეთ და ფიჭრით მოცულს...
 მითხარი, მითხარ, ბენ-იოხანი,
 ნუთუ მეორე სამშობლო მხარე
 ისე დაგიხვდა, როგორათარცა
 დედი-ნაცვალნი?

იოხანი.


პირ იქით, ესლაც

მე ამსტერდამი ისევე დამხვდა,
 როგორც წინად დატოვე იგი:
 ვით მაშინ, ესლაც თავისუფლება
 მის მოქალაქეთ ძვირფასად უდიდით.
 რა ტანჯვაც იმან გამოიარა
 ისპანიისა მონების ქვეშე.—
 უოველივე ეს მას დაავიწა
 გაბრწყინებულმა დიდმა ვაჭრობამ.
 აწ თუძცა იგი მდიდარი არი
 და წარმატებით გალადებული,
 იგი მანინც ჩვენ, ისრაილის ძეთ,
 ძმურად გვიუხრებს.

სილევა.

დიდს ზატივსა სცემს

ვაჭრობა ჩქაროს, რომელიც ჩვენმა
 ერმა დამალა, როს გერმანდადა
 ჩვენ შეკვეთარა გამოდევნილი
 ისპანელთა და ზორტუგალეთგან.
 შენ რომ უფრო ღრმად ჩაჭკვირებოდი
 ამ საქმესა-მსწრაფლ მისვდებოდი,
 რომ მხოლოდ ორის მიწყნის გამო
 ჩვენ გვიუხრებს აქ მეგობრულად...



ეროვნული
გიგლიორთქვა

შენ იტინი და მე მაინც ვცდილობ
მეცნიერების წესსად დაწაწეო
ყოველივე ის, რისაც ვი აღსნა
გულის მწადან...

იონი (ნაძალადევის ღიმილით ხელს აძლევს
მას.)

მე არც მგაში
არ ვხედავ არავითარ ცვლილებას.
სიღვას, ექიმსა, მცოდნეს ბუნების,
მეცნიერების ამხარტაუნებს,
ჩვენს მასწავლებელს, ღირსსა მადლობის,—
ჯერ კიდევ ახსოვს თვისი მეთოდა
პროფესორული...

სილივა.

და ჭება ვეელას,
ვისაც ვი ახსოვს სისტემის ძალა.
მეც მას მივდეკ, რაც არისტოტელმა
სთქვა. იმანცა...

იონი.

უბრალებსად

დაპარაკობდით...

სილივა.

ჭო, დიალ, დიალ!
რომ რესპუბლიკა ჭოლანდიისა
ჩვენს ერს იწუნებებს და არა სდგენის
ისე, ვით სხვაგან-დუნიაზედ,
რეინზედა და ისპანიაში,—
ამის მიზეზი ორი რამ არა:
პირველი ის, რომ ისეთი ერი,
როგორც ერთი აჭაურია,
რომელიც ჩვენსა დაბადებასა
დიდს ჰატვის სტემს და იმანცა
ამყარებს თავის საწმენებსა,—
არ შეუძლიან ასეთსა ერსა
ჩვენ თვითონაცა ჰატვი არ გვეს,
ჩვენ, რომელთაცა უწმენოთ შორის
წმინდად დავიცვით და შევინახეთ
გამოცხადება ერთის ღმერთისა,
ვით საუკუნო წმინდა ღამზარი,—
ჩვენ, იმა მეფის შთამომავლთა,
რომელთაც იშვა მათ მაცხოვარი.
მეორე ის რომ, ჩვენ შეამავლად
იგი სისხლია, რომელმაც შექმნა
თავისუფლება ჭოლანდიისა;
რომელმა ერმაც თვით გამოცხადა

უბედურება, ტანჯვა მონების,
არა, ის ერი თვით არ დასტანჯავს
ცრუ-მოწმუნების გამო სხვა ერსა.
ჭოლანდიისა რესპუბლიკაში
ბორკილები ხმლად გადაიკეთა
და ხუთუ იმ ხმლებს, ძლევა მოსილებს,
გადაკეთებს კვლავ ბორკილებად
ჩვენ ტანჯულ ერის დასამონებლად?
არა და არა, ამას არ იხამს
ერი გულადი, ჰატვისანი.
აი ეს არის ორი მიზეზი.
ვიცი, რომ ჩვენთა შემამულეთა,
რომელნიც სამსლვარ გარეთ არიან,
შეშურდებოდათ, რა გაიკებდენ
შენს აქ წამოსვლას.

იონი.

მე თვითონ ვრაცხდი
უბედურებს კაცად ჩემს თავსა.
მსიარულმა და იმედით სავსემ
ჩამოვირბინე მალალი მთები
უცხო ქვეყნისა, და მამინ, როცა
გემს დაიწყო ხელ-ხელა ცურვა
მე გავექე მარტო და მივეც თავი...

სილივა (გაწუწუბინებს.)

ტებილსა ოცნებას იმ არსებაზედ,
რომლის ნახვაცა აქ მოკლულა?
განა, შენ კიდევ წარმოიდგინე
ივდითი წინა ვით მოგებება,
ან რა სინაზით გადაგეხვია
შენ გულის სწორსა და საქმროს ეელზედ?
უგველია კიდევ ნახვადი
მანსეს...

იონი.

ნება მომეცი დაკვდე. (ჟდება).

სილივა.

რა მოგდის?.. მივეიროს... თითქოს დაღლილხარ...
თითქოს გიტანჯავს გულს მწუნებება...

იონი.

მანსე თავის ბაღში სამს დღეს
მიღებდა ხოლმე ჩვეულებრივის
გულ-კეთილობით...
სილივა.
მერე ივდითა?



ქართული
ბიბლიოთეკა

ის, რომელიც ისევ აკენიდამ
დანიშნულია შენს საცოლოდა?
ის, რომელიც ძიძისა ნანამ
შენ გაგუთვნა და მხოლოდ შენ მოგცა?
ის-სიყვარული, ის-მეფა შენი?
რა უკავილია! იმისი ჭება
მე არ მტყუნივს, თუმც იგი არის
ჩემი დისწული...

იოხაი.

მაშ აკენიდამეკე!..

ოჰ, სილვა! მგონი... შენმა დისწულმა...
გასტყვა ადრე...

სილვა.

მერე, როგორა?

იოხაი.

მოკლედ გეტყვი მას, რაც თვითონ ვნახე.
მანასე დამხვდა ალერსიანად:
იგი უოკელთვის შეიღეს მეძასოდა
და აღტაცებით ლაპარაკობდა
თავის ივდიითს ერთგულებაზედ.
შემდეგ დამიწყო მან საუბარი
თავის ბაღზედ და იმ სტატუებზედ,
რომელთაც განკუთმისს შეკვეთით
ფლორენცია და რომი ამზადებს,
რუბენსზედ, დიკონზედ და კიდევ სხვაზედ...
რა გაგაგრძელო, შენც ვარჯად იცი,
რომ რასაც იგი ხელს მოასკუდრებს
უკლავფერს ოქროს ფერსა სდებს...

სილვა (ჩემი)

დიად,

თუმც არა ერთხელ ოქროს ადგილას
ვსუდავთ თითბერსა...

იოხაი.

შენ აშობ?...
სილვა.

არა,

მე არაფერსა... მხოლოდ ვსაზრობდი
ხალასი წონა რას დაიჭურდა
იმის ხელშია? არ მომწონს მისი
დაწვობილება...

იოხაი.

თვით ბირყასაცა

აგრე რიგათა არ მოსწონს იგი...

მე, რომელსაც უკვე მინახავს
რომში, ჰარეში, ნაპოლშია,
უკლავ ის, რასაც ჭოლანდაში
იგი საბრალე ესლა აკეთებს,
მის ბაღის ტაძრებს უფრო ძლიან
მოვიწონებდი, თუ რომ მენახა
მათი ღვთაება. და დაკუბდი
ივდიითს ტრფობითა ვასულებული,
ბაღის ფოკლესა სეივანშია
და... ორის... ორის წლის გაურის შემდეგ
ვიპოვე იგი—არა უტოლოდ. (ადგება)
ვასით დაბურულს ერთსა მღვიმეში
ვიხილე იგი; მას გვერდით უჯდა
ჩემი უცნობი ვიღაცა კაცი.

წინ დიდი წიგნი ჭქონდათ გამლილი
და მღუმარნი ზედ დაჭურებდნენ...

მე მათ ნელ-ნელა მიუახლოვდი....

ივდიითს ისე დამიწყო ტყეა,
რომ თითქოს ამას მეუბნებოდა:

«როგორ გაბედა და შემოსედა
დაუკითხავად ჩემს ტაძარში?»

მაგრამ როდესაც მიხვდა ვინც ვიყავ,
მასინ კი მომცა მან ხელი ცივად.

მე ჩუმად ვიყავ და ამ დუმილით
გვეითსებოდი: «ვინ არის ეგ?»

«ეს ჩემი მასწავლებელია»,
მიხვასუსა მან აღტაცებითა,

შემდეგ მას უთხრა ჩემზედ ჩემის ხმით:
«აი ეს არის ჩემი საქმეო!»

უცნობი კაცი შეკრთა, გაუვითლდა
და განზედ გადა... მასინ მე მხოლოდ

გულ ჩათუთქულმა მისი სახელი
ვეითსე ივდიითს...

სილვა.

ურთულ აგოსტას


მას ეძახიან.

იოხაი.

რასაკერძა,

მის სახელი შენც გეროდინება.

მოსამსახურეთ ჰასუსი, ტყეა,



საქართველო
ბიბლიოთეკა

შემკრთალი სახე თვით მანასესი,
მთლად სტატუები მისის ბაღისა,
მეუბნებოდნენ, რომ შენ ივლითმა
გიღალატო...

სილვა.

საშინლად მიკვირს,

ბენ-იოხსაი. რასაკვერელია,
რაც სთქვი, ყველა ის ერთის შეხედვით
უბედურებად გეჩვენებოდა...

მაგრამ მერწმუნე შემცდარი ხარ შენ.
თუ რომ ივლითმა მიგიღო ცივად,
განა მისთვის რომ აგოსტა უყვარს?
რადგან ამ საქმის მოწამე თვით ვარ,

ყური დამიგდე, ყველაფერს გატყვი:
როს შენ წახვედი სამხლვარ გარეთა,
ამ დროს აქ განხდა ხმა დიდებისა

ერთის ჭბუგის მეცნიერისა,
რომელიც თუმცა ნიჭიერია,
მანც არ არის ფილოსოფოსი.

როგორც სწერს იგი-მვირად გაფასებ;
რასაც სწერს იგი-სიბრძნედ არა მხანს.
ის ისე გრძნობით და აღტაცებით

სწერს, თითქოს იუოს პორტუგალია,
თითქოს გუშინ წინ მას დაეტოვოს
მდინარე ტავოს ღამისი კელი.

მაგრამ როგორღაც იმისი გული
ისრავლისა მეთ გულს არ ეკერის,
ცივად უყურებს მათს ჩვეულებას

და ჯერ აქამდის არ მოკლენია
მას ზირი მდეთისა მყვლკოვანში!
ვერ ვიტყვი, რომ ის კრადობადეს

თვის შემამულეთ; მაგრამ არა სტემს
თაყვანს ჩვენსავით სინაღალსას;
თითქოს ებრაელს, თითქოს ქრისტიანს,

მას უყვარს მარად ფუჭი ოცნება
და ეჭვით უმზერს სარწმუნოებას.
აი ამ გაცმა, რაღაც შემთხვევით,

გაიგნო ჩვენი მანასესი სახლი
და გააბა მის ქალი ბადეში;
მაგრამ მერწმუნე, რომ იგი ბადე

არ არის ბადე ტრფიალებისა;
აქ მხოლოდ მისი ჭკუა მოქმედობს,
რომელითაც იმან ქალის გონება

ისე მოჭნობდა, რომ ეხლა იმას

თვისზედ ჭკვიანი არ ვინ ჭგონია
და ცხოვრებასაც ზიზლით უყურებს.
რამ გაეწეობა, როგორღაც არის
ცოლად ისეთი უნდა შეირთო
და როს ის კვალად შენი გასდება—
ბენ-იოხსაი, მერწმუნე მალე
გამოიცვლება.

იოხაი.

ქალისთვის ტრფობა

და მოწონება—ორვე ერთია.
რამდენიც მიელ ქალს ვინმე მოსწონს
იმდენი უფრო მიელც უყვარს.

არ მინდა ვიყო მე სხვის მარქაფად,
თუნდ იუოს იგი ქვეყნის დიდება!...
განდერსტატენი სუსტი ვარა,
შენ ხარ მის სახლის სული და გული.

მამ წადით მასთან! დაუძახე
თქვენსა ნაცნობებს და ნათესავებს,
გაცნანთ იმათ ყველას აგოსტა,
ვითა სასიძო...

სილვა.

ბენ-იოხსაი!

რას ამბობ მავას!..
იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

იოხაი.

თუ ვი თქვენ იგი
ნათესავზედა უფრო მეტად გჩანსთ,
რადღას უყურებთ, შეიყვით სახლში...

სილვა.

ჭკუაზედ ხომ არ შემლიღხარ, შეილო?
შენ ხომ ჩემს მტერზედ ამბობ მავასა...

იოხაი.

შენს მტერზედ, სილვა?
სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.


სილვა.

სილვა.

სილვა.

სილვა.

ჩემი მტრისთვისაც
არ ღდეს ცუდი არ მდომება.
მაგრამ რომ იმას ჩემის ხელითა
ჩივიანტო რამ ბედნიერება
და გავიხადო ნათესავადაც,—
მე ამას ვიხამ, შენგან არ მიკვირს,
ჯერ ამას წინად აქ გამოკვიდა
ერთი თხზულება ურიელისა,



ხალხური ლექსები.

სამაგას ტახტი ბრალის, გადნაწერი ღაღის,
 შიგა ზის ისპან ყენი, გვირ უსხედს სულს ბანის,
 მოშაირე და მოლექსე, სიძე და ცოლის ძმანია,
 დაესდეთ, დაწერეთ წიგნები, შვიდ კეცი, შვიდი მსარია,
 წამოკაყენოთ ჩიკრიკი, წელს შამოკარტყათ ხმალია;
 ადე და ჩვენს ჩიკრიკო ასწორე დდე და დამეა,
 ვინც მოვა გამარჯვებული ხალხთი გაჯგარია,
 ვინც მოვა ცამოქცეული მუხანათი და ბრალია.
 აღინჯის ბიჭი მოღის შეუკეცნა თმანია,
 ბიჭო რა იყო ეგეთი, რას გამოგვირამს თავია.
 აღინჯის ქალაქი დასწვეს, ზეცას ავიდა ღლია,
 ტყვე ნახირულებს გარეკეს, აჩიეს ქალი, რმალია,
 სამაგას იქით გადავიდნენ, საუდარი ნახეს ზარია,
 გარშამო შამოკარეს, ვერა უბოკეს კარია,
 ფეხი ჰკარეს, კედელი შალეს, გამოიყვანეს ქალია,
 მას დედამთელი მოსტირის, ჩამოსდის სისხლის ღვარია
 სადამოს ბიჭები მოვლენ, სოღავათი შეაკვრებისა,
 ნასობღავათებს ჭაბუკსა ქვე ძილი მოუნდებისა.
 დასასხნელად მოდიოდნენ, თეთრი მოჭქონდა ქილითა,
 დასხნეს წამოიყვანეს სიმღერითა და ღხინითა.

(შეკრებილი ნათლუღელი სოსოსგან.)

ნეტავი, ქალი მე და შენ ყნები მოგესტა ზიარი,
 შიგ სამარგული მოჭრია, გარს დიდი წარაფიანია.

არაღალო კოხტა ქალი, გვერდზედ მოგითოხნე კალი,
 წინ სიძინდი დაგითუე და იყარა ადლი ტარი.

გოგოვ, დედი შენის შვილო გადახრილო თქოშია,
 შენთან ასრე მოკავსებებ, რაგორც ფური ეზოშია.

ქლანდელი სანადირა კურდღელი და შელია
 ქალი ერთი მაკონინე—გული გადაშელია.

შენ საკარცელი რათ გინდა და ღალი რქრის ფეჩია,
 წამწამსა და წამწამს შუა ბადი ავიშენებია,
 შიგ სურვილი დაგითვისე კაცი მოგიყენებია.
 კაცის მოყენებისათვის მადლი მოგიხსენებია.

(შეკრებილი სოფ. საგარეჯოში ი. მჭ—შვილისგან)


აიღვო რუსთველის ხელობაზედ.

ერთი რუსული ანდაზა იტყვის: სჯობს გვიან,
 ვიდრე სულ არაო. მეც ამ ჩემს პასუხს თუმცა გვი-
 ანა ვსწერ, მაგრამ ეფიქრობ, რომ ამ დაგვიანებით
 არა შევდებო რა.

სოსლანის პასუხი რუსთველის ხელობაზედ მე
 თითქმის ორი თვეა, რაც გავგზავნე „НОВОЕ
 Обозрение“-ში. მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით არ
 დაიბეჭდა. ახლა ვსწერ ისევ „მეტრის“ ფურცლებ-
 ზედ. მიზეზი დაგვიანებისა არის ჩემი ქალაქს გარეთ
 ყოფნა.

ჩემს აზრზედ, რომ: რუსთველისავე სიტყვით,
 ის იყო ხელობით რუსთველი, დაიბეჭდა სამი წინა-
 აღმდეგი აზრი. პირველი, რომ რუსთველი ამას კი
 არ აპბობს, ვითომც ის ხელობით რუსთველი იყოო,
 არამედ იმას ამბობსო, რომ მე ხელობით მოშაირე
 ვარო. მეორე, რომ ამგვარს ხელობას, როგორც მე
 ვამბობ, ხელობა კი არა ჰქვიან, ჰქვიან თანამდებო-
 ბაო. ეს ორი აზრი ეყუთენის „მეტრის“ რეცენ-
 ზენტის კალამს. მესამე აზრი წარმოითქვა სოსლანი-
 საგან. ეს აზრი არის ისა, რომ ხელობა არის ჭკუი-
 დამ შეშლა და არა ის აზრი, რაც ფურცელაძემ უნ-
 და სთქვასო.

პირველს აზრზედ, მე მოვთხოვე „მეტრის“
 რეცენზენტს ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც ამ ადგი-
 ლას რუსთველი ან აზრათაც არის მაინც იხსენიებ-
 დეს, რომის ხელობით მოშაირეა. არ მიჩვენეს და
 არც არის. მაშასადამე, უნდა ეს ჩაითვალოს ფუჭად.
 რაც შეეხება მეორე აზრს „მეტრის“ რეცენზენტი-
 სას, რომ მაგვარს საქმეს, რასაც მე ვამბობ, თანამ-
 დებობა ჰქვიან და არა ხელობაო, ამისი უნდა ვთქვა
 რომ ჩვენი რეცენზენტები რომ თავის რეცენზიების
 ღირსებას სალახანურს გინებაში არა ჰხედავდნენ და
 ჰქონდეთ გამოკვლეული და შეგნებული, რომ რე-
 ცენზიებს, გარდა ბევრი სხვა გონიერული ღირსები-
 სა ცოდენაც უნდა, ჩაკვირდებოდნენ საქმეს და გაი-
 გეღნენ, რომ თანამდებობა ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ,
 არა ხმარებულა ამ უკანასკნელს საუკუნედის არა
 ქართულს წიგნში და არც ენაში. ამ სიტყვას არ იც-
 ნობს თვით საბას ლექსიკონიც და არცა აქვს საბას
 ეს სიტყვა. მსგავსი ამ სიტყვისა არის ნახმაჩი „მა-
 მათო ჩვენოში“-: თანანადებნი ჩვენნი, თანამდებო-
 მათ ჩვენთა. რუსულად არის: ДОЛГИ НАШИ, ДОЛЖ-
 НИКАМЪ НАШИМЪ. ცხადია, რომ აქ არის ლაპარაკი
 ვალსა და მოვალეზედ და არა იმ თანამდებობაზედ,



რომელსაც დღეს ДОЛЖНОСТЬ-ს ეძახიან. ამ სიტყვას შეგნებდა კაცი ვახუშტის „ქართლის ცხოვრების“ ბოლოზედ. დავით რექტორის წარწერაში. „ალარ დასკალებოდა (ვახტანგ მეფეს ქართლის ცხოვრების დაწერა) თანამდებობისაგან სიკვდილისა. აქაც ცხადია, რომ სიტყვა თანამდებობა არის ნახმარი ВЪ СМЫСЛѢ ДОЛГА, а не ДОЛЖНОСТИ, რადგან შეუძლებელია დავით რექტორი ამბობდეს: ვახტანგს სიკვდილის ხელობა (ДОЛЖНОСТЬ) ეჭირაო. რაც შეეხება სიტყვას ხელობა, მოხელე, ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ იხმარება ყველგან წიგნებშიაც და ლაპარაკშიაც. მაგალითათ, ეხლაც სოფლის ხალხი იტყვის და სულ ასრე ჰხმარობს: სოფლის მოხელენი, პოლიციის მოხელენი, ლუბერნატორის მოხელენი, სულდას მოხელენი. რა ხელობა აქვს?—ლუბერნატორია, ზემოღმერთია, პრისტავია, დიამბეგია, ნაჩაღნიკია, პოლიკის კომანდირია. საბას ლექსიკონშიც სხვა ნახმარი: კლუბს-მოსაქმობა რამ. ძველად იმ სიტყვის გამოხატავდა, რასაც რუსულათ ДОЛЖНОСТИ ჰქვიან, სხვა სიტყვა არ იყო. სიტყვა თანამდებობა, ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ, როგორც ზემოთაც ითქვა, შემოვიდა ამ საუკუნეში. ყველა დამერწმუნება, რომ გამიტყუნება იმ სიტყვისა, რომელიც ხმარებულა უხსოვარი დროდამ, იმ სიტყვით, რომელიც შემოვიდა გუშინ და ერთი ორი კაცის მეტი არა ხმარობს ძალიან გასაბედი საქმეა თვით იმისთანა რეცენზენტებისაგანაც კი, რომელთაც გინება და უშეგებება პირველ დამარდველ საბუთათ მიაჩნიათ. მაშასადამე, ეს აზრიც უნდა ჩაფუშვილათ ჩაითვალოს. «თეატრის» რეცენზენტის ორივე საბუთი გამოდგა უსაბუთო და უსაფუძვლო.

გადავიდეთ ახლა დავით სოსლანის აზრთან.

დავით სოსლანმა, იმის მაგიერად რომ გასძრას გონება, გაისარჯოს თვითონ დაიპოვოს საბუთები თავის აზრის გასამართლებლათ, უცნაურს ღონეს მიმართა და უცნაურს გადაწყვეტილებას ედაც დადგა, ჯერ იღანძღა მოუღალავად მერე იყვირა რომ მე ვარ რაცა ვარო. ბოლოს გადაწყვიტა, რომ ამ საქმის გადაწყვეტა მიეწოდოთ გოგებაშვილს და ჭაჭაყაძესაო და სხვათა თუ ესენი იტყვიან, რომ მე ვტყუები, მაშინ „საქვეყნოდ პირობასა ვდებო, რომ ჩემს სიტყვებში არც რუსულს და არც ქართულს მწერლობაში არ გავერიო“—ვო.

წარმოიდგინეთ, რა იაფად დაუფასებია სოსლანს თავის ლიტერატურული მოღვაწეობა თუ ამ საქმეში გავმტყუნდი, მწერლობაზედ ხელი ამიღიაო. ვე პატივი და დიდება სოსლანისათვის, რომ თვითვე

აღვიარებს თავის მოღვაწეობას ისრე უმნიშვნელოდ, რომ ამ უბრალო საქმისთვის აპირებს მაზედ ხელის აღებას, მაგრამ წარმოიდგინეთ ის მწერალი, რომელიც საგნებზედ კი არ ამყარებს თავის სიმაართეს, ამყარებს ავტორიტეტზედ. თუ ჭაჭაყაძემა და გოგებაშვილმა ბრძანეს მტყუანი ხარო, მტყუანი იქნება, თუ იმათა ბრძანეს მართალი ხარო—მართალი იქნება. თუ კი ამათი გადაწყვეტილება ისრეთ შეუცდომელ ჭეშმარიტებათ მიჩნია უფ. სოსლანს, მაშ რათ გაუხდია ისინი სიტყვისა და ლანძღვის მასალათ! დავანებოთ ამასაც თავი. ეთქვათ სოსლანი თვითონაც აღვიარებს ამათ უცოდველათ. ახლა რა დამამტკიცებელი საბუთია იმათი გადაწყვეტილება თუ ეს გადაწყვეტილება არ იქნება საბუთზედ დამყარებული? თუ იმედი აქვს სოსლანს, რომ ესენი თავის გადაწყვეტილებას საბუთს დაამყარებენო, მაშინ იმათთან წასვლას, და შველის, დანხარების თხოვნას, თათონ მოძებნოს ეს საბუთები და გვაჩვენოს. საბუთებს როგორც ჭაჭაყაძის ხელში, ვგრეთვე სოსლანის ხელში ერთი და იგივე ძალა აქვთ.

საბუთები კი სოსლანს თავის აზრის დასამტკიცებლათ ბევრი ჰქონდა, რომ ლანძღვის მაგიერათ საქმის ძებნით და გამოკვლევით გატაცებულიყო.

საბუთებიც ისაა ჯერ ერთი, რომ ბევრს ძველს წერილში იპოვიდა ამის ორფოგრაფიულს დამტკიცებას. ხელობა სიგიჟისა იწერება ამგვარი ასონი თავში ხ, ხელობა ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ ანუ რამე საქმიანობისა იწერება ასონი ვ. როგორც ვახტანგ მეფისგანით დაბეჭდილს, ვეფხვის ტყაოსანში, ვგრეთვე ბევრს სხვა ძველს ვეფხვის ტყაოსანში და ამასთან ბროსესა და ჩუბინოვისაგან გამოცემულს ვეფხვის ტყაოსანშიაც იწერება ასრე: მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი. რაკი ეს ასრეა, ამ ასონი იწერება, ცხადია, რომ, თუ რუსთველის ვეფხვის ტყაოსანში არის ასრე გადმოწერილი სოსლანის აზრი მართალია. მეორე საბუთი, რომელიც ამტკიცებს კიდევ სოსლანის აზრს, მეფე ვახტანგი თავის ვეფხვის ტყაოსანის ახსნაში, სწორეთ ისრე ხსნის, როგორ სოსლანი: რუსთველი თავის სიგიჟეზედ ამბობსო, აი, რა საყურადღებო საბუთები იყო თვით წიგნებშივე, რომ სოსლანს დაჩვეული არა ჰქონდეს ენა და გონება უსაფუძვლო ლანძღვასა და ლაპარაკს.

მაგრამ, რო კაცი ჩააკვირდეს კარგათ, არც ეს საბუთები დაარღვევენ ჩვენგანით წარმოთქმულს აზრს. და აი რატომ.

ჯერ ერთი, რომ არავინ იცის ის ორფოგრაფია ხ და ვ რუსთველს ეკუთვნის თუ გადამწერებს, ამი-



ტომ რომ შეხედება კაცი ძველს ვეფხვის ტყაოსანს ამგვარად დაწერილს: მე რუსთველი კელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი, ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ცხელობ, მისთვის მკვლარი. აქ სწორეთ იმ სადაო შემთხვევაში იმ ორფოგრაფიით იწერება, რომელიც ჩვენს აზრს ამართლებს და უდაოში ცხელობ არის ის ორფოგრაფია, რომელიც სიგიჟეზედ არის. რუსთველის ხელნაწერში კი არაფერ ვიცით, როგორ არის ნახმარი თავისაგანი.

მეორე, რომ სოსლანისა, ვახტანგ მეფისა, ჩუბინოვისა და ბროსეს აზრი მართალი იყვეს, აი რა გამოდის აქედამ, რომ გადაეთარგმნოთ დღევანდელს გასაგონს ვნაზედ ეს ხანა.

მე რუსთველი სიგიჟითა ჩაედივარ ამგვარს საქმესა, რომა ვარ გაგიჟებული მისთვის, ვისაც მთლათ ჯარნი ემონებოან.

აბა ჩავაუიქრდეთ, რომელი სიტყვის წყობაა: სიგიჟითა ვარ გაგიჟებული? ამაზედ იქვი არ არის, რომ ამბობს თამარის სიყვარული ვარო. მაგრამ რომ იმას ამბობდეს რუსთველი: სიგიჟითა ვარ გაგიჟებული, მაშინ, მართლა რომ, გიჟი უნდა იყვეს ამისი მთქმელი. ეგ იმ ქართულ დაცინვას ეგვანება: მკვლარი მოკვდაო. თუ მკვლარია, რაღა მოკვდა? თუ გიჟია რაღას გაგიჟდა და ისიც სიგიჟით გაგიჟდა!?

ჩავაკვირდეთ ამ ყველა ჩემს წინააღმდეგ საბუთებს და ვნახოთ: მქონდა თუ არა საბუთი მეთქვა, რომ რუსთველი თვითონვე ამბობს რომ რუსთველობა იყო ჩემი ხელობაო.

ა. ფურცელაძე.

საარითმეტიკო გამოცანა

ერთმა მებატონემ ქ. თბილისში ღვინის სარდაფი გააღო. გააშრო 36 ბოჩკა ღვინით და გამოუგზავნა სირაჯს. სირაჯმა 12 ბოჩკა თავის სახლში გაგზავნა, დანარჩენი სარდაფში დააღაგა და მებატონეს შეუთვალა: — მე შენთან მეტა სამსახური არ შემიძღვან და გთხოვ შენი სარდაფი ჩაიხარო. მებატონე გამოცხადდა, სარდაფი ჩაიხარა. ვითხვა: როგორ მოახერხა და როგორ დააღაგა ბოჩკები სირაჯმა რომ 27 ბოჩკა ღვინო 36 ბოჩკათ შეატყუა?

ნ ა ლ ე ჯ ი

კერპობის დროსა ერთმა დედაკაცმა ქალი გაათხოვა და ქმართან გასტუმრების დროს შემდეგი დარიგება

მისცა: „არამცა-და-არამც დედამთილს, მამამთილს და მამაქმარს სიტყვა არ შეჰკადრო, უბრალოდ ხმა არ გასცე, თორემ მაშინვე მოკვდებიო“. ქალმა დარიგება პირდაპირ გაიგო და მართლა ქმრის ოჯახში ხმა არ ამოიღო. გავიდა რამოდენიმე ხანი. ეყოლა ამ ქალს შვილები: უსუბი, ბადრი და ლომ-დავითი. ქმრის დედ-მამამ იფიქრეს: „ჩვენმა რძალმა ხომ ლაპარაკი არ იცის (მუნჯია) და ესე როდემდის უნდა იყოსო. უთხოვეს შვილს მეორე ცოლი. ქორწილის დროს სახლში ქვებით თაფლი ედგათ ცეცხლზედ. თაფლი აღულდა და გადმოდენა დაიწყო. ხელათ ვერაფერი იპოვეს სახლში, რომ ცხელი ქვებისთვის მოეკიდნათ და ცეცხლიდგან გადმოედგათ. პირველმა რძალმა მოჰკიდა ქვებს თავისი ქათმის კალთები და ცეცხლიდგან ისე გადმოდგა. დაინახა ეს ახალმა პატარძალმა და დაცინვით სთქვა: «დახედეთ, რა სახადის!» დაცინვა გაიგო პირველმა რძალმა და ლექსით უთხრა:

„რას მოჰჭურინდი, მოჰკაქკაქდი, მოჰჭუროლდი ნიორსავეითა. უსუბ მიშობნია, ბადრი გამიზღია, ლომ-დავით უბეში მიწყეს, ჯერ ხმა არ ამოუღია. დედასთან ცნენი აფრინეთ, ხომ არ მამკვდომია?“
(შეკრუბალი ლ. დოლოჯობისაგან.)

სომხური თეატრი

წარსულის ოთხშაბათს სომხურმა დრამატიკულმა დასმა წარმოადგინა გუცუკოვის ხუთმოქმედებიან დრამა „ურბეულ აკოსტა“ ბ—ნი აღმინანი თამაშობდა თავი როლს და უნდა გამოეტყუდეთ რომ საზოგადოთ სუსტი ურიელ აკოსტა იყო, თუმცა ალაგ-ალაგ შეუდარებლად და გასაოცრად ჰხატაედა წერილმან სულიერ მოძრაობას. დანარჩენებში მარტო ბ—ნი ავალიანი (დესილეა) იყო რიგიანი. ხალხი წინანდელზე მომეტებული იყო.

ფ ე ლ ე ტ ი ნ ი ქართული გამოცანები

სამნი აწიან შემსადებულანა, ვათ სული სორცი და მისი გრძობა, ცალ-კვრძო ცალი ხომ არ ხნატეს, თქვენცა ივით ეს, არ უნდა თხრობა,



ერთი იწვევა, მეორე დნება, მესამე არის ნათლის ცნობა ვით ვერ მისვდებით ქრისტიანულ, მე ხომ არ მითქვამს სულის გამობა.

აღმეუღეს წასმე ქმნილებაში ერთი რამე განბი წვესა, მუდამ მატობს, არ აკლებს, არც სასული შიგან ძეგსა, კინც იუნჯა ვერც იმან სცნო, ვერც სახმარად მიუბ სეღსა. გამოდება არ ვის ძალ-უძს, თვით აღიწიკეს მოსულის დღესა.

იგი წმიდა წმინდა აღაგს მოადიდობს სეს ძირობით ტკბილს მოისხამს ის ნაყოფსა, ტყუი აკრავს გარს წმინდობით, დამწაღს სტან კარგი არის, მეფეთ იცხონ-იდადების უმისოთ არც კურთხევა, დამარხვასაც ვერადებით.

(შეგრებილი ფეოდოსია თავდგირიძისაგან.)

ან ე გ ლ ო ტ ე ბ ი

გლეხმა უკლანნი წაღები იყიდა და ზედ შუა გზა-ზედ დაქინა. გამოიარა ურმინამა კანმა, ჯერ მძინარეს წაღები განადა, თავისთვის გადამაღა და მერმე ღვიძება დაუწყო: «ადე, კაცო, ურემი გავატაროვო, ფეხებზედ არ გადავიაროს—გაიღვიძა გლეხმა, დაისედა ფეხებზედ და მიუგო:» გაატარე ურემი, ეს ჩემი ფეხები არ არის; მე წაღები მსცავო და ისევე დაიძინა.»

ერთმა კანმა თავის მეზობელს საარაყე ქვამი სთხოვა და როდესაც უკან მიუტანა ერთი პატარა ქვა-ბიც შიგ ჩადვა. პატრონმა ჰკითხა: ეს პატარა ქვაბი რაღას?

— შენმა ქვამმა მოიგო, უთხრა მიმტანმა. კანდა რამდენიმე ხანი და ამან კიდევ სთხოვა ის დიდი ქვაბი: მაგრამ აღარ დაუბრუნა. პატრონმა სასამართლოში უჩივლა: ქვამი მთხოვა და აღარ მაძლევსო. მოსამართლემ ჰკითხა: რატომ არ აძლევო?

— როგორღა დაუბრუნოვო, რომ მომიკვდავო!

— როგორ თუ მოგიკვდავო? — როგორ, — პატრონო და ერთხელ ვითხოვე მოკვებით და შეილანათ დაუბრუნე, ესლა ვი საცოდავი შეილანობას თან გადავქა!“

ერთმა კანმა საყენის სიმაღლე ყუთი შეუკვეთა დურგალს. დურგალმა კუბო გაუკვეთა და დასხა რაზა კოტაკი. როდესაც მსყიდველმა ყუთი მოსთხოვა იმან კუბო დაუღა წინ. „ეს რა არის, მე ყუთი ვითხარი და არა კუბოვო! —, თქვე დალოცვილო, კვ არა სჯობიან? ვიდრე ცოცხალი ხართ, ყუთათ იხმარეთ და როცა მოკვდებით კუბოთათ, მიუგო დურგალმა.

(შეგრებილი თეოდ. ნუსვიკაძისაგან)

გამოვიდა და ისეიღება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

3. შ ა ბ ი ჩ ვ ა ძ ი ს .

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკსემპლიარს იყიდის, ეკსემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეკსაზნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტრებით; 2.) დაპატარავებული საშვალო კრკვალთი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადახრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით. დედანსა აქვს სულ 24 გვერდი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.